F/SW 3151

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ოთხშაბათი 1 ივლისი № 152 (18094) ფასი 2 კაპ.

პარტიული ინფორმაცია

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ვ. ბრანდტი

30 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, აგრეთვე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრივ — პარტიის თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ვიშნევსკი.

შეხვედრის დროს გამოითქვა ღრმა შეშფოთება იმის გამო, რომ გაუარესდა საერთაშორისო ვითარება, მეტადრე იმიტომ, რომ სულ უფრო ძლიერდება გამალებული შეიარაღება, არსებობს საომარი კონფლიქტების სხვადასხვა კერა და ყოველივე ეს ზრდის ომის საფრთხეს.

გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ თანამედროვე ვითარებაში აუცილებელია ყველაფერი ვიღონოთ, რათა გაგრძელდეს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, გავიცელდეს იგი სამხედრო სფეროზე, შეწარჩუნებულ იქნეს და დამკვიდრდეს მშვიდობა.

გამოითქვა საერთო აზრი, რომ სადავო საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრის ერთადერთსა და სიმიდო გზას წარმოადგენს სერიოზული მოლაპარაკება, რომლის საფუძველი იქნება მხარეების ნამდვილი დაინტერესება დადებითი შედეგების მიღწევით და მზადყოფნა — შემატონ საქმეს თავიანთი წვლილი, რომელიც თანაწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპს შეესაბამება.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ბრანდტმა გააშუქეს შესაბამისი პოზიციები იმ საკითხებზე, რომლებიც ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის განლაგებას ეხება. ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას და უნდა გადაიჭრას კიდეც აღნიშნული პრინციპების მკაცრად დაცვის საფუძველზე.

შეხვედრის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს გაგრძელდეს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პროცესი, გამოთქვეს იმედი, რომ მადრიდის შეხვედრა წარმატებით დამთავრდება. ქვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ არავინ არ უნდა ცდილობდეს სამხედრო უპირატესობის მოპოვებას, რომ ყველა უნდა უწყობდეს ხელს სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ ნატოს მილიტარისტული წრეების მისწრაფება უმაგალითოდ გაიზარდონ გამალებული შეიარაღება, ვერ მოაპოვებინებს მათ სამხედრო უპირატესობას, და ამავე დროს გაამწვავებს ისედაც რთულ საერთაშორისო ვითარებას. მან ხაზი გაუსვა, რომ სკკპ XXVI ყრილობამ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისა და მშვიდობის განმტკიცების ფართო პროგრამა წამოაყენა. ლ. ი. ბრეჟნევმა უყურადღება მიაპყრო აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ მიმართვას მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი და ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია ჩრდილოეთ ევროპის უბირთვო ზონად გადაქცევის საკითხში. ამავე დროს გამოითქვა საბჭოთა კავშირის მზადყოფნა — გულისყურით მოეკიდოს სხვა სახელმწიფოთა ყოველგვარ კონსტრუქციულ იდეას.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი იღვწის სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხანგრძლივი და ყოველმხრივი თანამშრომლობის განსამტკიცებლად მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულებისა და სხვა ფუძემდებელი ორმხრივი დოკუმენტების ბაზაზე.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, განაცხადა ვ. ბრანდტმა, იღვწის, რათა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აქტიურად უწყობდეს ხელს დაძაბულობის შენელებას, ყველა სახელმწიფოს შორის, კერძოდ, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ურთიერთგაგების განმტკიცებას. ვ. ბრანდტმა გამოთქვა აზრი, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი და ფედერალურ კანცლერთან ჰ. შმიდტთან მისი მოლაპარაკება ხელს შეუწყობს პოზიტიური პროცესების განვითარებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ბრანდტმა გამოთქვეს საერთო აზრი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა კონტაქტებს და აზრთა გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობისათვის, ისე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვისაც.

საუბარმა მეგობრულ, კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

სურათზე: საუბრის დაწყების წინ. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

ცხოვრების სიმართლის დამკვიდრებით

გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობა

იცხოვრონ ხალხის ინტერესებით, დაამკვიდრონ ცხოვრების სიმართლე, იყვნენ კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი — ეს მიაჩნიათ თავიანთ მაღალ მოვალეობად და მოწოდებად მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ოსტატებს.

პარტიული მგზნებარებით განმსჭვალული მათი წერგნების ფურცლებიდან მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგება თვალწინ ჩვენი დროის გმირი—მშრომელი ადამიანი, შემოქმედი და აღმშენებელი, თანამედროვე ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეალის მატარებელი. სკკპ XXVI ყრილობაზე შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულ საბჭოთა მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ თავიანთი წვლილი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

30 ივნისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობა. ყრილობის დელეგატთა უყურადღების ცენტრშია დროისა და ხალხის წინაშე ხელოვნის პასუხისმგებლობა.

ყრილობის დელეგატებთან — თვალსაჩინო საბჭოთა მწერლებთან ერთად სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები — ხუთწლედის მოწინავენი, კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. ადასტურებენ რა საბჭოთა ლიტერატურის მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტს, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობენ მომძე სოციალისტური ქვეყნების მწერალთა კავშირების დელეგაციები, ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ბევრი ქვეყნის მწერლები.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები ამბანაგებს **ბ. ნ. გორბაჩოვს, ბ. ვ. გრიშინს, ა. ა. კირილენკოს, ა. ი. პელშეს, ბ. ა. სუსლოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ბ. ნ. ხოლომენცევს, ბ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.**

დელეგატებმა და სტუმრებმა საპატიო პრეზიდიუმში აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება „საბჭოთა ლიტერატურა კომუნიზმისათვის ბრძოლაში და მისი ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა გამგეობის პირველმა მდივანმა **გ. ბ. მარკოვმა.**

ოთხი თვე გავიდა, თქვა მან, ისტორიული მოვლენის — სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ, როცა მთელ მსოფლიოში გაისმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შთამბეჭდავი სიტყვები მიღწეული დიადი შედეგებისა და მომავლის დიადი ამოცანების შესახებ. დღეს ყველა ჩვენგანისათვის ცხადია: ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტიკურ ბიუროს მთელ უდიდეს პოლიტიკურ გამოცდილებას, მთელ კოლექტიურ სიბრძნეს მთელი სისრულით გამოხატავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა. ლენინდ ილიას ძის სახელს დღეს უდიდესი მადლიერების გრძნობით წარმოთქვამს ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანი. მის ხმას ყურად იღებს მთელი მსოფლიო. იმ პირობებში, როცა იმპერიალიზმის აგვირახსნილი ძალები ცდილობენ ყაცობრიობას უბიძგონ ომისაკენ, მშვიდობის იმედს ადამიანები უკავშირებენ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკას, ხოლო პირდაპირ თუ ვიტყვით, როგორც მწერლებს სჩვევიათ, ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელს.

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიუროო და პირადად ლ. ი. ბრეჟნევი ყოველთვის იჩენდნენ და იჩენენ ნამდვილად მამობრივ ზრუნვას ქვეყანაში ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. ეს ზრუნვა და უდიდესი ნდობა იწვევს საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის მხურვალე მადლიერების სიპასუხო გრძნობას.

ჩვენ, საბჭოთა ლიტერატორებს არ შეიძლება არ გვახარებდეს ის ფაქტი, რომ პარტიის XXVI ყრილობაზეც ლიტერატურა, საბჭოთა საზოგადოების განვითარების სხვა პრობლემებთან ერთად, ქვლავ იყო საყოველთაო-სახალხო ყურადღების ცენტრში.

ბარაჭიანად ისხამს თავთავს ჩვენი შემოქმედებითი ყანა. ხნავდნენ, ფარცხავდნენ, უვლიდნენ ჩვენს ლიტერატურულ მინდორს ჩვენნამდეც. თანაც, როგორი დიდი მოესვლელები! რომ ავიღოთ საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, მეხსიერებაში წარმოგვიდგებიან გორკისებური, გაჯანების ფიგურები — გორკისებური გოლიათები. სწორედ მათ დადეს ამ ლიტერატურულ მინდორზე სოციალისტური მრავალეროვნული კულტურის საკუთარი ტრადიციების ნაყოფიერი შრე. მდაბალი სალამი მათ, კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლებს, ახალი სამყაროს შთაგონებულ მშენებლებს, რევოლუციური ლიტერატურის ოსტატებს! გულითადი მადლობა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს მისი წიგნებისათვის — „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირისათვის“, რომლებმაც ამ წლებში მოგვცეს ხალხის სამსახურის კარგი გაკვეთილები, უდიდესი გავლენა მოახდინეს ყველა სახეობისა და ჟანრის ლიტერატურაზე.

შემოქმედებითი პროცესის განვითარებას რომ მიმოვიხილავთ, დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა—ეს არის ჩვენი მსოფლმხედველობით ფრთაშესხმული, ჩვენი სოციალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი ისტორიული ოპტიმიზმით შთაგონებული დინამიკური აზრის ლიტერატურა.

ისევ და ისევ უნდა ჩაეფიქრდეთ ამ ისტორიულად ნოვატორულ, მსოფლიო მნიშვნელობისა და აზრის მოვლენას — საბჭოთა ლიტერატურის მრავალეროვნულ ერთიანობას. სად ნახავ ქვეყნად კიდევ ისეთ სიმდიდრეს, რომ მოიცავდეს მრავალსაუკუნოვან დამწერლობითი ტრადიციების ლიტერატურებსაც, რომლებიც კარგა ხანია გავიდნენ მსოფლიო მხატვრული პროგრესის ავანსცენაზე, და ახალდამწერლობიანი ხალხების ლიტერატურებსაც, ახლა რომ მიაღწიეს ჩვენში ესოდენ მაღალ დონეს! სამოცდაჩვიდმეტი ენა, რომლებზეც დღეს იქმნება ლიტერატურული ნაწარმოებები, გამომსახველად და ძლიერად ჟღერს დიდ საბჭოთა ლიტერატურის მრავალხმიან გუნდში.

სოციალიზმი აახლოებს ხალხებს, აერთიანებს მათ ადამიანთა ბედნიერებისათვის, ახალ თაობათა მომავლისათვის ბრძოლაში. საბჭოთა მწერლები ამ ბრძოლაში პირველთა შორის არიან.

ჩვენი შემოქმედებითი ყურადღებისა და შემოქმედებითი საზრუნავის საგანია, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენი ხალხის მთელი ცხოვრება, მთელი ახლანდელი სამყარო — მშვენიერი და მშფოთვარე; სასიხარულო და მღელვარე. მაგრამ ყველა საზრუნავს შორის უპირველესია ბრძოლა ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის.

ამერიკის იმპერიალიზმი, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მისი დამქაშები აბუჩად იგდებენ ყველა კეთილი ნების ადამიანის მშვიდობისმოყვარულ იმედებს და თავხედურად აყენარუნებენ იარაღს, აჩაღებენ ომის კოცონებს. ბირთ-

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ივლისი საკვების დამზადების დამკვრელური თვეა

მეთერთმეტე ხუთწლედი საკვების ხუთწლედი უნდა გახდეს — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ეს ამოცანა გახდა პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის პროგრამა მათს ბრძოლაში იმისათვის, რომ განახორციელონ ცნობილი ლოზუნგი: „საქართველო უნდა გახდეს დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“.

რესპუბლიკის რაიონული, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათაშორისო საწარმოები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო ზეიმზე გამოთქმულ მითითებებს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საკითხზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკვების წარმოება-დამზადების, მისი ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გეგმების უთუო შესრულებას.

1980 წელს რესპუბლიკის სოზგადოებრივმა მეურნეობებმა უხეში საკვების დამზადების გეგმა შეასრულეს 106 პროცენტით. მათ შორის თივისა — 104 პროცენტით და სენაჟისა — 111 პროცენტით. მთლიანად რესპუბლიკაში ზამთრისათვის მომარაგებულია 1,1 მილიონი ტონა საკვები ერთეული, ანუ 17,2 ცენტნერი საკვები ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე. ამასთან ერთად მთელმა რიგმა მეურნეობებმა თავი ვერ გაართვეს საჭირო რაოდენობის საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის დავალებათა შესრულებას, დამზადებული საკვების ხარისხი კი კვლავ უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია.

საკვების დამზადება-შენახვის ტექნოლოგიის უხეში დარღვევის შედეგად რესპუბლიკაში ყოველწლიურად იკარგება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო დიდძალი მაწიერი ნივთიერებანი, რაც იწვევს კონცენტრატების ხეიერძრთი წონის გადიდებას საკვების ბალანსში.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერჯერობით არ ხელმძღვანელობენ უხეში და წვნიანი საკვების წარმოების ორგანიზაციას. დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ ბუნებრივ სავარგულებს, რის შედეგადაც ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებს საკვების წარმოება-დამზადების დავალებებს, რომლის ხარისხიც კვლავ დაბალია.

საკმარისი რაოდენობით არ შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები საკვები კულტურების ნათესებში, სათიბებსა და საძოვრებზე, სისტემატურად არ სრულდება საკვები კულტურების განმეორებითი თესვის გეგმა, ირღვევა მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ვადები, თესვა ხდება პარკოსანი კულტურების თესლის შეურევლად, რის შედეგადაც მცირეა ამ კულტურების მოსავლიანობა და საკვებში მოწელებადი პროტეინის შემცველობა.

რესპუბლიკაში შეუწყარებლად მცირეა სასილოსე სიმინდის მოსავლიანობა. ცალკეული მეურნეობების მოსავლის, მათ შორის საკვები კულტურების მოსავლის აღების პერიოდში საკმარისად არ იყენებენ მოსავლის ასაღები აგრეგატების, სატრანსპორტო საშუალებების, მატერიალური და შრომითი რესურსების დიდმწარმოებლური გამოყენების მოწინავე მეთოდებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკის სახსოფლტექნიკა და მათი ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებენ ღონისძიებებს საკვების საამქროებისა და საკვების სამზარეულოების დროული ამოქმედებისათვის, გრანულატორების, დამბრიკეტებლების, ბალახის ფხვნილის დასამზადებელი აგრეგატების დამონტაჟებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად 1981 წელს საკვების წარმოება-დამზადებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანათა საკითხი და მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსს რესპუბლიკისა და აჭარის სსს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ხალბოსტნეულის მეურნეობის, კვების მრეწველობის, შინაგან საქმეთა, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, სახსოფლტექნიკას, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს დაავალეს განახორციელონ დამატებითი პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკის ყოველ მეურნეობაში ყველა სახეობის საკვების წარმოება-დამზადების მაკულობის გადიდებისათვის; მიიღონ საჭირო ზომები რესპუბლიკის მეცხოველეობის მოთხოვნილებათა სრული უზრუნველყოფის მიზნით საკვების წარმოების გასადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისათვის.

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისათვის უხეში საკვებით მომარაგების საქმეში დახმარების გასაწევად იქმნება რესპუბლიკური მნიშვნელობის სადაზღვევო მარაგის ფონდი. იგი გადაეცემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ მეურნეობებისათვის გასანაწილებლად, რომლებიც საკვების ნაკლებობას განიცდიან.

საქართველოს სსრ სახსოფლტექნიკას დაავალა მეურნეობებთან ხელშეკრულებებით უზრუნველყოს მოქმედი საკვების საამქროებისა და საკვების სამზარეულოების, ბალახის ფხვნილის დამამზადებელი, უხეში საკვების დასაბრიკეტებელი აგრეგატების სრული ტექნიკური მომსახურება.

რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ გამოყონ მსუბუქი ავტომობილები იმ ტრაქტორისტი მექანიზატორებისათვის, ავტომობილების მძღოლებისათვის, კოლმეურნეებისათვის, კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშებისა და სპეციალისტებისათვის მისაყიდად, რომლებიც საუკეთესო მარგენებლებს მიაღწევენ 1981 წელს მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებაში.

მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის თბილისის და რუსთავის საქალაქო კომიტეტებისა და თბილისის და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინადადებანი 1981 წელს საქალაქო ორგანიზაციებისა და საწარმოების ძალებით 5 ათასი ტონა მწვანე მასის დამზადების შესახებ.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა გასწიოს ფართო ორგანიზატორიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა რესპუბლიკის მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნაში აქტიურად ჩაბას კომკავშირელები და ახალგაზრდობა, კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს საკვების დამზადებაში დასაქმებული კომკავშირულ - ახალგაზრდული ბრიგადების, რგოლების ყველა ქალაშვილისა და ჭაბუკის სოციალისტური შეჯიბრება, შეიმუშაოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის გამონახვისა და მაქსიმალური გამოყენებისათვის, მოაწყოს მასობრივი შაბათობები, კვირაობები და დეკადები, მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობის დამკვრელური შრომის ერთთვიურები საკვების დასამზადებლად.

ივლისი გამოცხადდა გზისპირებზე, მდინარეების, წყალსატევების, საწრფავი სისტემების, ნაპირებზე, ტერასებზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კიდეებზე, მრავალწლოვანი ნარგავების მწკრივთაშორისებში, ქარსაცავ ზოლებში, ხევებსა და სხვა, მექანიზაციისათვის მიუწვდომელ ნაკვეთებზე, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების პარკებში, სკვერებში და გზიანებზე საკვების დამზადების დამკვრელურ თვედ.

საკვების დამზადებისას მაღალი ორგანიზებულობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა რესპუბლიკური შტაბი „საკვები-81“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ამხანაგები ო. გ. ვარძელაშვილი (ხელმძღვანელი), ნ. ა. გოდაბრელიძე, ი. ი. ხუციშვილი, ო. ვ. მელქაძე, ნ. ა. ფოფხაძე, დ. ე. სარიშვილი, თ. გ. სტეპანოვი, ლ. მ. ხარბედია, შ. მ. ეცადაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტში საკვების დამზადების საიმუშაოთა ორგანიზაციის სახელმძღვანელო შტაბებს მეთაურობენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ საკვების დამზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, პროპაგანდა გაუწიონ მოწინავეთა გამოცდილებას, გამოავლინონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს საკვების წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც. (საქინფორმი).

КОПРАВДА 30 ივნისის მოწინავე.

დოკუმენტების კრებული

გამოვიდა 1981 წლის 8-10 ივნისს სსრ კავშირში ალეკირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივნის მაღალი ბენჯედიდის ვიზიტის შესახებ დოკუმენტებისა და მასალების კრებული.

კრებულში შეტანილია ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და შ. ბენჯედიდის სიტყვები, საბჭოთა კავშირ-ალეკირის ერთობლივი კომუნიკე და სხვა მასალები. (საკდესი).

დაეკმაყოფილოთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი!

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება 30 ივნისისათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები	მოკრეფილია 1980 წლის სეზონის დამდეგიდან.	1981 წლის სეზონის დამდეგიდან მოკრეფილია	+ —
ხელვაჩაურის	8483	9472	+ 1809
ქობულეთის	19521	19816	— 205
ქედის	564	594	+ 30
სულ აჭარაში	28518	29651	+ 1133
გალის	21456	18275	— 3181
ოჩამჩირის	16249	13921	— 2328
სოხუმის	354	344	— 10
გულრიფშის	1355	1289	— 66
გუდაუთის	3059	3143	+ 84
სულ აფხაზეთში	42473	36572	— 5901
მახარაძის	43727	36609	— 7118
ჩოხატაურის	6500	6184	— 316
ლანჩხუთის	12083	11471	— 612
სამტრედიის	1497	1381	— 116
ფოთის	4525	4566	+ 41
წყალტუბოს ზონა	5263	5309	+ 46
ტყიბულის ზონა	5281	3640	— 1641
ცაგერის	5537	5043	— 494
აბაშის	401	449	+ 48
გეგეჭკორის	11584	10055	— 1529
ზუგდიდის	27203	24207	— 2996
წალენჯიხის	12975	11280	— 1695
ჩხოროწყუს	10410	9414	— 994
ხობის	4563	4716	+ 153
თერჯოლის	576	507	— 69
ჭიათურის ზონა	519	535	+ 16
ვანის	485	494	+ 9
სულ საქართველოს სსრ-ში	224120	202044	— 22076

მიუხედავად იმისა, რომ გუშინწინ მეჩაიეობის ზოგიერთ რაიონში წვიმდა, რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში 5.828 ტონა ფოთლი მოიკრიფა. ეს მაჩვენებელი შარშანდელ შესაბამის დღეს დამზადებულ ნედლეულს 945 ტონით სჯობობს და ფოთლის კრეფის ერთგვარ დაჩქარებასაც მოწმობს. მაგრამ მთლიანად რესპუბლიკაში ხეზონის დამდეგიდან დამზადებული ნედლეული შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. აქედან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, გალის, ოჩამჩირის რაიონების, ტყიბულის ზონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, რომლებსაც შარშანდელთან შედარებით ბევრად ნაკლები ჩაის ნედლეული აქვთ დამზადებული.

ცხოვრების სიმართლის დამკვიდრებით

(დასასრული)

ოვული კატასტროფის საფრთხე ისე მოგვიახლოვდა, ლამის თავს დაგვატყდეს. ასეთ ვითარებაში მწერლის სიტყვა უნდა მუსრავდეს და ანადგურებდეს ომის გამჩაღებლებს, აღვიძებდეს ადამიანთა სინდისს, მოუწოდებდეს მათ საკადრისი პასუხი გასცენ მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის მტრებს.

ასეთი გრანდიოზული მასშტაბით გვესახება დღეს ჩვენი მუშაობა და მისი, როგორც საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმის ნაწილის, მნიშვნელობა. ჩვენ, საბჭოთა მწერლები მშობლიური კომუნისტური პარტიისაგან ვსწავლობთ იმას, რომ მხატვრული ხედვის მასშტაბურობა შეეუხამოთ პრაქტიკული საქმის კონკრეტულობას. სწორედ ამიტომ სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტები საიმედო ორიენტირია ჩვენი მწერლების ყრილობისათვის.

როცა თვალს ავლებ განვლილ გზას, როცა უფიქრდები ლიტერატურისა და ხელოვნების რეალურ მონაპოვრებს, ცხადი ხდება საერთო წინსვლა. და პარტიის დასკვნა, რომ ახალი ძალა შეეფატა საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურას, ჭეშმარიტებაა, რომელიც ცნო უმაღლესმა მსაჯულმა — ხალხმა.

ახალი ათწლეული დავიწყეთ მნიშვნელოვანი მიღწევებით. 70-იან წლებში საბჭოთა მრავალეროვნულ ლიტერატურაში გამოჩნდა ნიჭიერ მწერალთა მთელი პლეადა. მათმა შემოქმედებამ, თავისებურებამ გაამდიდრა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურა.

შემდეგ მომზსენებელმა გააანალიზა ლიტერატურული შემოქმედების ყველა ჟანრის — პროზის, პუბლიცისტიკის, პოეზიის, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის, დრამატურგიის განვითარება საანგარიშო პერიოდში.

დღეს სიამოვნებით აღვნიშნავთ, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენი ქვეყნის ლიტერატორთა ყველა თაობის ერთსულოვან, ურთიერთპატივისცემით განმსჭვალულ მუშაობას. ეს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გადამწყვეტი პირობაა მომავალი წლებისთვისაც.

ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის გაუმჯობესებაში შესამჩნევი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მოსკოვში ახალგაზრდა მწერალთა VII სრულიად საკავშირო თათბირისა და სვერდლოვსკში ახალგაზრდა მწერალთა სრულიად საკავშირო შეკრების მოწყობამ, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადებას. ახლა მეტი გამოდის ახალგაზრდა მწერლების წიგნები, კოლექტიური კრებულები.

უკვე იშვიათი აღარ არის ახალგაზრდა ავტორების შესახებ კრიტიკული სტატიებიც, რომლებსაც ხშირად მათი თანატოლები წერენ. ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდისათვის განსაკუთრებით ბევრს აკეთებს გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“. განახლდა ჟურნალ „ლიტერატურნაია უჩობას“ გამოშვება. წარმატებით განაგრძობს თავის საქმიანობას ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი.

ყრილობის ტრიბუნიდან გ. მარკოვმა შემოქმედების ფასდაუდებელი გაკვეთილებსა და ხალხისადმი საზოგადოებრივი სამსახურისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო ოსტატ-ვეტერანებს: მ. შოლოხოვს, ლ. ლეონოვს, მ. ბაჟანს, ა. ჩერკოვს, მ. შაგინიანს, ვ. კატაევს, კ. კრაპივას, გ. მუსრეპოვს, ს. რუსტამს, ბ. პოლევოის, კ. იაშენს, ს. რაგიმოვს, დ. იკრამის, ა. ტოკომბაევს, ე. ბუკოვს, მ. იბრაგიმოვს, ი. აბაშიძეს, ე. მეჟელაიტისს, ა. ლუპანს, პ. კუუსბერგს, ი. ბალტუშისსა და მრავალ სხვას.

მთელი ჩვენი მუშაობა მიმდინარეობდა საბჭოთა ლიტერატურისადმი მკითხველთა მზარდი ინტერესის ვითარებაში. ეს ინტერესი უმაგალითოა — იგი უჩვეულოდ დიდია. მწერლისა და მკითხველს ურთიერთმოქმედება ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ხალხს ცხოველი ინტერესი ეხმარება მწერალს შრომაში, ეხმარება უფრო სწრაფად გაიაზროს თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, შთააგონებს მას. ამას, მაგალითად, მოწმობს საბჭოთა ლიტერატურის დღეების მოწყობის გამოცდილება, რომლებმაც მთელი ქვეყანა: მოიცვა. საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდაში აქტიურად გვიწყობენ ხელს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება და საზოგადოება „ცოდნა“.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, აღინიშნა შემდეგ მოხსენებაში, მუშაობენ ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების განუწყვეტელი შემოტევის ვითარებაში. და თუმცა დროდადრო მათი ტაქტიკა იცვლება, სტრატეგიული მიზანი იგივე რჩება — შეარყიონ საბჭოთა ლიტერატურის ავტორიტეტი, გაანეელონ მისი გასვლა სხვა ქვეყნების მკითხველებთან, დაამახინჯონ მისი კეთილშობილური ჰუმანისტური მიზნები.

საერთაშორისო ხასიათის ბევრი არახელსაყრელი ფაქტორის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გამწვავების, ომის საშიშროების ზრდის მიუხედავად, სსრ კავშირის მწერალთა კავშირი მტკიცედ განაგრძობდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მწერლებთან და მწერალთა ორგანიზაციებთან რეგულარული ურთიერთობის გზების ძიებას.

უმტკიცესი უთიერთობა გვაქვს დამყარებული, სოციალიზმის მძმე ქვეყნების მწერალთა კავშირებთან. დიდი მეცადინეობა მოხდა მთარგმნელობითი საქმის გაფართოებას, ჩვენი ქვეყნების ცხოვრებისადმი მიძღვნილი ერთობლივი წიგნების შექმნას. ამას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებათა საგენტოს საქმიანობამ.

მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის აქტიურ ბრძოლაში მწერალთა ჩაბმაზე ზრუნვა სოციალიზმის ქვეყნების მწერალთა კავშირების მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობდა ბულგარეთის მწერალთა კავშირი, რომელმაც დიდი ინიციატივა და სიმტკიცე გამოიჩინა თავის ქვეყანაში პროგრესულ მწერალთა საერთაშორისო შეხვედრების მოწყობისათვის და კარგ ტრადიციად დაამკვიდრა ეს.

ენერგიულად მონაწილეობდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირი აფრიკა-აზიის ქვეყნების მწერალთა მოძრაობაში. მისი მნიშვნელობა აზრდება აფრიკისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნებისადმი იმპერიალიზმის პრეტენზიების გადიდებასთან დაკავშირებით. ამ ხნის მანძილზე ანგოლაში გაიმართა ამ კონტინენტების მწერალთა მორიგი კონფერენცია, რომელმაც ახალი ძალით გამოავლინა მწერალთა მოძრაობის ანტიიმპერიალისტური, ანტისიონისტური და ანტირასისტული ხასიათი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ავღანელ მწერლებთან, მონაწილეობა მიიღო ამ ქვეყნის მწერალთა პირველი ყრილობის მოწყობაში, დაეხმარა ავღანეთის მწერალთა კავშირს თავისი მუშაობის გაშლაში.

საბჭოთა მწერლები, რომლებიც არიან ბევრი საერთაშორისო ლიტერატურული ორგანიზაციის წევრები, ბეჯითად განმარტავდნენ საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის არსს, ილაშქრებდნენ ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ შეესუსტებინათ ან როგორმე შეეზღუდათ მწერალთა მონაწილეობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, შეენელებინათ ლიტერატორთა აქტიურობა ომის წამქეზებელთა დანაშაულებრივი გეგმების მხილებაში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი კვლავაც ძალ-ღონეს არ დაიშურებს საზოვარგარეთის პროგრესულ მწერლებთან და მათ ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და შუამავალ კონტაქტების გაფართოებისათვის, იმისათვის, რომ გაიზარდოს ლიტერატურის როლი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის განხორციელებაში, რათა დამყარდეს პლანეტაზე მშვიდობისა და მეგობრობის მტკიცე კლიმატი, გადაიქცეს კულტურული გაცვლა ადამიანთა შეცნობისა და სულიერი ურთიერთგამდიდრების საშუალებად. ლიტერატურული კონტაქტები დამყარებული გვაქვს არა მარტო იდეური პოზიციებით ახლო მდგომ მწერლებთან, არამედ იმ ლიტერატორებთანაც, რომლებიც აღიარებენ რა სხვა შეხედულებებსა და წარმოდგენებს, გვეთანხმებიან მთავარ საკითხში — მშვიდობის დაცვაში.

რაც შეეხება ჩვენს იდეოლოგიურ მტრებს, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურის წინააღმდეგ აწყობენ ფრონტალურ კამპანიებს, ამასთან არ ერიდებიან ცილისწამებას, მოქარას, გადახვეწილთა მოსყიდვას, ცდილობენ შეარყიონ ჩვენი რიგები, მათი საქმე უიმედოა. საბჭოთა მწერლები საკადრის პასუხს აძლევდნენ და კვლავაც გასცემენ ასეთ ცდებს.

ცნობილია, რა პოლიტიკური სიმწიფე და პრინციპულობა გამოიჩინა, მაგალითად, მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციამ, რომელმაც ამხილა და დაგმო საზღვარგარეთიდან აშკარად ინსპირირებული საკუთარი უბადრუკი, უწმინდური თხზულებების ვიღაც თვითმარქვია „გამომცემლები“.

ძლევამოსილი ლენინური იდეების ერთგულება, ყველა ერისა და ეროვნების მწერალთა შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, თითოეული ლიტერატორის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტიურობა ყოველთვის იყო ჩვენს მუშაობაში წარმატებათა გადამწყვეტი პირობა. და ახლა, სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ახალი ისტორიული ამოცანების წინაშე ეს პირობა მთავარ ძალად რჩება ჩვენს წინსვლაში.

1982 წლის აპრილში 50 წელი შესრულდება, რაც მიღებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნისა და საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნის შესახებ. ამ ხნის მანძილზე მან დიდი გზა განვლო, გახდა თანამოაზრეთა ნამდვილი კავშირი, გადაიქცა ლენინის პარტიის აქტიურ თანამეშფოდ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ეჭვი არ არის, რომ ახლაც, როცა გმირი საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით ახორციელებს მეთერთმეტე ხუთწლედის გიგანტურ პროგრამას, საბჭოთა მწერლები, მთლიანად მწერალთა კავშირი, შეასრულებენ თავიანთ წმიდათაწმიდა მოვალეობას — ლიტერატორები იქნებიან ყველგან, სადაც იბრძვის ჩვენი ხალხი, გაიზიარებენ მათს ჭირსა და ლხინს, შთაგონებული სიტყვით მოუწოდებენ ადამიანებს შრომისა და გმირობისათვის, ღირსეულად გაამართლებენ პარტიისა და ხალხის მაღალ ნდობას.

დასასრულ გ. მარკოვმა ყრილობის, ყველა საბჭოთა მწერლის სახელით აღუთქვა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოეთის ლიტერატორები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან მშობლიური პარტიის დროშის გარშემო და შექმნიან ახალ, ბრწყინვალე, ნამდვილად პარტიულ, ნამდვილად ხალხურ ნაწარმოებებს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის, ჩვენი გმირული ეპოქის შესახებ.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ვ. პ. ტელპუგოვმა.

შემდეგ ყრილობაზე დაიწყო კამათი. (საკდესი).

სურათზე: დარბაზში ყრილობის გახსნის დროს. (საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო).

აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოშვება

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ თავის კურსდამთავრებულთა ახალი რაზმი გამოუშვა. 29 ივნისს მოსკოვში ამ მოვლენას მიეძღვნა უმაღლესი პარტიული სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა, მსმენელთა და ასპირანტთა საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, მეცნიერები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა კ. ვ. რუსაკოვი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და საბჭოს სახელით მან გულითადად მიულოცა კურსდამთავრებულებს, აკადემიის მთელ კოლექტივს ღირშესანიშნავი მოვლენა, მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გამოთქვა რწმენა, რომ აკადემიის აღზრდილები გაუფრთხილდებიან მის ტრადიციებს, ღირსეულად ატარებენ კომუნისტის მაღალ წოდებას, ნაყოფიერად იღვაწებენ ლენინის დიადი იდეალების, მშვიდობისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკდესი).

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ალსანიშნავი მონეტის მიმოქცევაში გამოშვების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ალსანიშნავად 1981 წლის პირველ ივლისს მიმოქცევაში გამოდის 1 მანეთი ღირებულების მონეტა.

მონეტა, რომელიც მიმოქცევაში გამოდის საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ალსანიშნავად, ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად საკალდებულოა სრულიად შეუზღუდავად მიიღონ სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი გადასახადელებისათვის, ჯარეთვე ბანკებმა, შენახველმა სალაროებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროთა საწარმოებმა მიმღინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე, ანაბრებად, აკრედიტივზე ჩარიცხვისა და გზავნილებისათვის.

სურათზე: საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ალსანიშნავად მოჭრილი მონეტის შუბლი და უკანასკნელი. (საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო).

ჩვენი ისტორიის გადასახედი

საბჭოთა საქართველოს არქივები 60 წლისაა

დღეს, 1 ივლისს სრულდება 60 წელი „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტის გამოცემიდან.

საიუბილეო თარიღს საქართველოს არქივისტები ეგებებიან განსაკუთრებული აღფრთოვანებით, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილმა საერთო-სახალხო ზეიმმა გამოიწვია.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გადაიქცა არქივები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების საგნად. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის აღნიშნულ დეკრეტს საფუძვლად დაედო 1918 წლის 1 ივნისის ლენინური დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“.

საბჭოთა საქართველოში საარქივო მშენებლობის 60 წლის ისტორია — ეს არის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების საარქივო დაწესებულებებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გზა.

ის დიდი ყურადღება, რომელიც ეთმობა ჩვენს ქვეყანაში საარქივო საქმის განვითარების პრობლემებს, განმტკიცებულია საკანონმდებლო აქტებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურული ღირებულებების დაცვა სსრ კავშირის კონსტიტუციამ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უშუალო მოვალეობად გამოაცხადა.

ყოველწლიურად უმჯობესდებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო არქივებისა და საარქივო ორგანოების სტრუქტურა და ქსელი. საქართველოში საარქივო საქმის სოციალისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი სახელმწიფო არქივების გამართული და სრულყოფილი ქსელის შექმნაა.

არქივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი განმტკიცება უცილობელი პირობაა აქ არსებული დოკუმენტების დაცვის უზრუნველსაყოფად, დღეისათვის ყველა ცენტრალური სახელმწიფო არქივი უზრუნველყოფილია თანამედროვე დებულებიზებული საცავებით. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფო არქივების 9 სპეციალური შენობა 2 მილიონზე მეტი საქმის ტევადობით, 56 არქივიმ მიიღო ახალი ან დამატებითი სათავსები. მთავრდება ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ახალი შენობის მშენებლობა, პროექტდება საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივისა დასამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობათა ახალი კომპლექსები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ჩვენი წინაპრების თაობები „კავკასიონის კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური ეროვნული კულტურა“. წარსულის წერილობითი საგანძურისა და გმირული აწმყოს ამსახველი დოკუმენტების შეგროვება და დაცვა არქივისტების წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებები ინახავენ საქართველოს ისტორიის წერილობითს ძეგლებს IX საუკუნიდან დღემდე. სახელმწიფო არქივებში თავმოყრილია 3,5 მილიონზე მეტი საქმე. სახელმწიფო დაცვისათვის მიღებულია 300.000-ზე მეტი ფოტოსურათი, 23 ათასი კინოდოკუმენტი, 18 ათასამდე ხმის ჩანაწერი. 1974 წელს შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი შეუდგა დოკუმენტების ინტენსიურ მიღებას.

სრულფასოვანი სამეცნიერო-ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტებით დაკომპლექტების დარგში საქართველოს საარქივო დაწესებულებათა მიერ მოპოვებული მიღწევები საარქივო საქმის ორგანიზაციის ლენინური პრინციპების ხორცშესხმის პირდაპირი შედეგია. საარქივო დაწესებულებები დიდ ყურადღებას უთმობენ სამინისტროებსა და უწყებებში საქმისწარმოებისა და საარქივო სამსახურის შემდგომ განვითარებას. სახელმწიფო და საუწყებო არქივების უშუალო კონტაქტები დიდად უწყობს ხელს სახელმწიფო საარქივო ფონდის დაკომპლექტებას. საქართველოს სახელმწიფო არქივები დიდ მუშაობას ეწევიან საორგანიზაციო-საგანმეცნიერო დოკუმენტების სახელმწიფო სტანდარტებისა და საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის ძირითადი დებულებების დასაერგავად; სამინისტროებსა და უწყებებს სისტემატურ დახმარებას უწევენ საქმისწარმოების ინსტრუქციებისა და საქმეთა ნომენკლატურების შედგენაში, საქმისწარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

არქივისტების მთავარი ამოცანაა არა მარტო უდიდესი სახალხო საკუთრების — წარსულის დოკუმენტური ძეგლების შეგროვება და სათუთად დაცვა, არამედ მათი ყოველმხრივი გამოყენება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. საარქივო ინფორმაცია, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი პრაქტიკის, ფართო მასების შემოქმედების მრავალფეროვნებას, მარტო ისტორიული თვალსაზრისით კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იგი გარდაუვალად აუცილებელია ქვეყნის განვითარების პროცესის დაჩქარებისთვისაც. ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება მოთხოვნა არქივისტებისადმი — შეძლონ დროული, საჭირო და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების სამსახურისათვის.

ინიციატივიანი ინფორმირება და თემატური მოთხოვნების შესრულება გახდა საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მიღწევების განხორციელებაში არქივისტების მონაწილეობის ტრადიციული ფორმა. საქართველოს საარქივო დაწესებულებებს გარკვეული წვლილი მიუძღვით კავკასიონზე რკინიგზის დაპროექტებაში, ტყიბულის რაიონში მივიწყებული ქვანახშირის საბადოების განახლებაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის მიერ საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების მეცნიერული საფუძვლების საარქივო სამსახურის შემდგომ განვითარებას. სახელმწიფო და საუწყებო არქივების უშუალო კონტაქტები დიდად უწყობს ხელს სახელმწიფო საარქივო ფონდის დაკომპლექტებას. საქართველოს სახელმწიფო არქივები დიდ მუშაობას ეწევიან საორგანიზაციო-საგანმეცნიერო დოკუმენტების სახელმწიფო სტანდარტებისა და საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის ძირითადი დებულებების დასაერგავად; სამინისტროებსა და უწყებებს სისტემატურ დახმარებას უწევენ საქმისწარმოების ინსტრუქციებისა და საქმეთა ნომენკლატურების შედგენაში, საქმისწარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

არქივისტების მთავარი ამოცანაა არა მარტო უდიდესი სახალხო საკუთრების — წარსულის დოკუმენტური ძეგლების შეგროვება და სათუთად დაცვა, არამედ მათი ყოველმხრივი გამოყენება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. საარქივო ინფორმაცია, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი პრაქტიკის, ფართო მასების შემოქმედების მრავალფეროვნებას, მარტო ისტორიული თვალსაზრისით კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იგი გარდაუვალად აუცილებელია ქვეყნის განვითარების პროცესის დაჩქარებისთვისაც. ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება მოთხოვნა არქივისტებისადმი — შეძლონ დროული, საჭირო და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების სამსახურისათვის.

ინიციატივიანი ინფორმირება და თემატური მოთხოვნების შესრულება გახდა საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მიღწევების განხორციელებაში არქივისტების მონაწილეობის ტრადიციული ფორმა. საქართველოს საარქივო დაწესებულებებს გარკვეული წვლილი მიუძღვით კავკასიონზე რკინიგზის დაპროექტებაში, ტყიბულის რაიონში მივიწყებული ქვანახშირის საბადოების განახლებაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის მიერ საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებასა და მრავალ სხვა საქმეში.

სულ უფრო ნაყოფიერი ხდება არქივების შემოქმედებითი თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის ორგანოებთან. საარქივო დოკუმენტებს იყენებენ დოკუმენტური ფილმების შექმნისას. მაგალითად, თითქმის მთლიანად საარქივო მასალებზეა აგებული მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი „საბჭოთა საქართველოს მატიანე“. საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ამსახველ მრავალსერიიან ფილმებში „მცირე მიწა“ და „დიდი სამამულო“ ფართოდ გამოიყენეს საქართველოს სსრ კინოფოტოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტები. საარქივო დაწესებულებები დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის მუზეუმებს.

არქივებში ყოველწლიურად ასობით მკვლევარი მუშაობს, რომლებიც ათასობით საარქივო საქმეს ეცნობიან. მათი კვლევის თემატიკა ფართო (და ჩრავალფეროვანია — უძველესი საუკუნეებს ისტორიული სიუჟეტებით დაწყებული და საქართველოს მშრომელთა უკანასკნელი წლების გმირული შრომისა და კულტურული მიღწევების ამსახველი დოკუმენტური კვლევა-ძიებით დამთავრებული. ჩვენს არქივებში მუშაობენ არა მარტო ქართველი, არამედ მოსკოველი, ლენინგრადელი, ბაქოელი, ერევნელი, კიეველი, ტაშკენტელი, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან ჩამოსული მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკები.

ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ფასდაუდებელი სიმდიდრე — საარქივო დოკუმენტები მთელი ხალხის სამსახურში დგას. დაბადების წლისა თუ შრომითი სტაჟის დადგენიდან ისტორიული მეცნიერების ფუნდამენტური ბაზის შექმნამდე — ასეთია არქივების საქმიანობის დიაპაზონი სოციალისტურ სახელმწიფოში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ღირსეული ადგილი უჭირავს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებების მიერ დამოუკიდებლად ამ სამეცნიერო ცენტრებთან კონტაქტით მომზადებულ ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციებს.

დღეისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებს მათს დოკუმენტებზე აქვთ ფართოდ გაშლილი საცნობარო სისტემა. გამოცემულია მეგზურები ცალკეული სახელმწიფო არქივების ფონდების შესახებ, აგრეთვე საერთო ცნობარი „საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივები“.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაააქტიურებისათვის მიმდინარეობს ახალი ფორმების ძიება. მთავარი საარქივო სამმართველოს მიერ არქივთმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოგრაფიის დარგში საუკეთესო გამოკვლევებისათვის დაწესებულია აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია. ყოველივე ეს ხელს უწყობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათთვის შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩანერგვას.

რესპუბლიკის სახელმწიფო და საუწყებო არქივების სისტემაში 2 ათასამდე მუშაკია — ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები, უკრაინელები და ბელორუსები, ებრაელები და ბერძნები, სხვა ერისა და ეროვნებების წარმომადგენლები. ესენი ჰრიან სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე, თავისი საქმის ერთგული და მოყვარული ადამიანები. მიუხედავად ამისა, კადრების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების აღზრდისა და მომზადების პრობლემა ჩვენთვის უპირველესი საზრუნავია.

ქართველმა არქივისტებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საზღვარგარეთის საარქივო დაწესებულებებთან კონტაქტების განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში. 70-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს არქივისტები ქმედითს მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საქმეში.

1980 წელს ქართველი არქივისტები აქტიურად მონაწილეობდნენ ლონდონში გამართული არქივების IX საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

საქართველოს სახელმწიფო არქივებმა, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ რა ლენინური დეკრეტის პრინციპებს, დიდი მუშაობა გასწიეს წარსულის მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობის სათუთი დაცვისათვის, დოკუმენტური სიმდიდრე ხალხის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სამსახურში ჩააყენეს.

ქართველმა არქივისტებმა 60 წლის განმავლობაში თავიანთ წარმატებებს პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და სსრ კავშირის მთავარარქივის სისტემატური ზრუნვისა და მხარდაჭერის წყალობით მიაღწიეს.

საქართველოს საარქივო დაწესებულებების წინაშე დიდი ამოცანები დგას. საჭიროა ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებზე შექმნილი სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის საინფორმაციო დონე; უნდა შეიქმნას და დაინერგოს დოკუმენტური ინფორმაციის მოძიების მექანიზებული და ავტომატიზებული სისტემა; უნდა უზრუნველყოთ საუწყებო შენახვის ვადაგასული დოკუმენტების სახელმწიფო დაცვისათვის მიღება; მუდმივად შესანახი დოკუმენტების ყოველწლიური შერჩევა და მოწესრიგება საქმისწარმოების სტადიაში; აუცილებელია დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი მიდასაუწყებო კონტროლის ფართოდ დანერგვა, სამინისტროებსა და უწყებებში დოკუმენტების საუწყებო დაცვის კომპლექსების ყოველმხრივი განმტკიცება ცენტრალური და გაერთიანებული არქივების შექმნის საშუალებით. სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის გაფართოება — აი ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების არასრული ნუსხა. სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს კადრების აღზრდისა და მომზადების საკითხები.

საქართველოს საარქივო დაწესებულებათა მუშაკები, პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ, ყველა მშრომელის მხარდამხარ თავიანთ მოკრძალებულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლაში.

ა. მანელაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკდესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ



30 ივნისი

● **საფრანგეთი**

აირჩიეს თავმჯდომარე

პარიზი. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ა. ლეჟუანი აირჩიეს ახალი მოწვევის ეროვნულ კრებაში კომუნისტთა ჯგუფის თავმჯდომარედ. კომუნისტთა ჯგუფის პირველ სხდომაზე თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს დ. დიუკლონე, ჟ. ბრიუნი და კ. ჯერიო.

ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ა. ლეჟუანმ თქვა, რომ დეპუტატ კომუნისტებს, რომლებიც პარლამენტის მემარცხენე უმრავლესობის სრულუფლებიანი წევრები არიან, გადწყვეტილი აქვთ იმოქმედონ

დავიცვათ ბუნება — დედამიწის სიმდიდრე

გაიმართა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებული სხდომა. განიხილეს ბუნების გამოყენების ლონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხები და მეთერმეტე ხუთწლედში დარგის დაცვის დარგის ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. საჭარავამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. მეძმარიაშვილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, რესპუბლიკის პროკურორი ა. ბარაბაძე, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ციცეშვილი, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი გ. გიგაური, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ლოლაშვილი, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი თ. თურმანიძე და სხვები.

განხილულ საკითხებზე მიღებულია რეკომენდაციები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე გ. მამაცაშვილი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების მნიშვნელოვანი ამოცანები

თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების გაერთიანებული სესია. სესიაზე შეაჯამეს მეთე ხუთწლედში დარგის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებათა მუშაობის შედეგები და დასახეს მომდინარე ხუთწლეულის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ბიუროს თავმჯდომარე ზ. ჯინჭარაძემ.

მეათე ხუთწლედში, აღინიშნა მოხსენებასა და გამოსვლებში, რესპუბლიკის სამეცნიერო - კვლევითმა ინსტიტუტებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. გაწეულია გარკვეული მუშაობა ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურების, უხვპროდუქტიული ჯიშის პირუტყვისა და ფრინველის გამოყვანისათვის, წარმოებაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

სესიას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი. (საქინფორმი).

მაიაკოვსკის დღეები საქართველოში

ეძღვნება რევოლუციის პოეტს

ჟუთაისი, 30 ივნისი. (საქინფორმის კორ.). პოეზიის ტრადიციული დღესასწაული — მაიაკოვსკის დღეები მოეწყობა საქართველოში 11-14 ივლისს. ეს ითქვა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ათობრზე. ლიტერატურული დღესასწაულის მოსაწყობად შეიქმნა კომისია პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ნ. რუხაძის ხელმძღვანელობით.

ფართოა ზეიმის პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებულია საღამოები, გამოფენები სემინარები, ქუთაისის მოწინავე სამრეწველო საწარმოების კოლექტივების, კერძოდ, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის გაცნობა. აქ გაიმართება პოეზიის საღამო.

მაიაკოვსკის დღეებში მონაწილეობისათვის ქუთაისში ჩამოვლენ ახალგაზრდა მწერლები ქვეყნის ყველა კუთხიდან. 12 ივლისს ქალაქის ცენტრში გაიხსნება ბელადის ძეგლი, რომელსაც ასე მგზნებარედ უმღერა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. ამავე დღეს პოეტის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში, მუშაობას დაიწყებს დღის საბჭოთა [illegible] ... ბინა.

მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება ბაღდადში — ახლანდელ მაიაკოვსკში მიმდინარე დღეები. ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში მოეწყობა პოეზიის დიდი საღამო. მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ზეიმის მონაწილენი დაესწრებიან ქუთაისის ცენტრში პოეტის ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიას. ამავე დღეს, 13 ივლისს, გაიხსნება საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი.

დღეების დასასრულს ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება პოლიტიკური და სამოქალაქო პოეზიის ინტერნაციონალური საღამო.

აფხაზ მსახიობთა წარმატება

ელ-ჯაზაირი, 29 ივნისი. (საკადესი). ალჟირის ქალაქ-მუზეუმ ტიმგადში, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის წინათ დაუბრუნეს სიცოცხლე არქეოლოგებმა და მშენებლებმა, ამ დღეებში მიმდინარეობს ხალხური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი. ადგილობრივი მსახიობების გარდა, ფესტივალში მონაწილეობენ იტალიის, ბელგიის, ტუნისისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების თვითმოქმედი და პროფესიული კოლექტივები.

საბჭოთა კავშირის ხელოვნებას წელს წარმოადგენს აფხაზეთის ცეკვის ანსამბლი „შარატინი". მისმა გამოსვლებმა ალჟირელ მაყურებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. „ძველრომაულ ამფითეატრში გაიმართა საბჭოთა მსახიობების საოცარი წარმოდგენა, რომელმაც აღაფრთოვანა ორი ათასი მაყურებელი", — წერს ალჟირის საინფორმაციო სააგენტო. — დაახლოებით ორ საათს აფხაზეთის ანსამბლი ხიბლავდა მაყურებელს და ბრწყინვალედ ასრულებდა სსრ კავშირის ცეკვებს. ქორეოგრაფიამ, შემსრულებლებთა ოსტატობამ, მდიდრულმა კოსტიუმებმა შესაძლებლობა მისცა აფხაზ მსახიობებს ეჩვენებინათ მაღალი კლასის სპექტაკლი, რომლის ბადალი უკვე დიდი ხანია არ უნახავთ ტიმგადის საერთაშორისო ფესტივალებზე".

ასე გედნიერი დასასწუსი

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში შეიკრიბნენ გუშინდელი მოსწავლეები, რომლებმაც წარჩინებით ისწავლეს ათი წლის მანძილზე, თავი გამოიჩინეს სამეცნიერო კონფერენციებში, ოლიმპიადებში და, ბოლოს წარჩინებითვე ჩაბარეს გამოსაშვები გამოცდები. და ეი, ღირსეული ჯილდოც: საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინწლაძემ თითოეულ მათგანს ატ-როს მედალი გადასცა.

— წლეულს საშუალო სკოლების 40 ათასამდე კურსდამთავრებულმა მიიღო სიმწიფის ატესტატი და მათგან ორას რვამ ოქროს მედალი დაიმსახურა, — თქვა მინისტრმა, როცა კურსდამთავრებულებს მიესალმა. — ყოველივის უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ მომავალი თქვენი ცხოვრების გზაც ესოდენ მაღალ შეფასებას იმსახურებდეს.

ყმაწვილები ვერ ოიკებენ სრულიად ბუნებრივ მღელვარებას, რომელიც მათ ამ საზეიმო წუთებში დაუფლებოდათ. ყოველ მათგანს აქვს საყვარელი საქმე, აურჩევია მომავალი პროფესია.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ყველა დაჯილდოებული სასახლის საკქმო დარბაზში მიიწვიეს, სადაც საქმიანი, საგნობრივი სჯაბაასი გაიმართა: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ, პარტიის ვეტერანმა დ. ლომაძემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. რიმინსთაველმა გულთბილად მიულოცეს ყმაწვილებს და შემდეგ მომავლის გეგმებზე ილაპარაკეს. (საქინფორმი).

1 ივლისი, 1981 წ.

წინაპართა ნათელ ნაკვალევზე

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის გამო

მართლაც ჩინებული ამინდი დაუდგა ექსპედიციას. ზაფხულის ამ კაპანაქეებას ისეთი გრილი დღე შეენაცვლა, რომ არც ექსპედიციის წევრებს და არც ცხენებს მგზავრობა არ გაგვჭირვებია.

ღამე არაგვის ჭალაში გავათენეთ, სადაც კოლოეგთან ჭიდილის ერთგვარი რეპეტიციაც გავიარეთ. „სპექტაკლი" კი, ალბათ, ყალმუხეთის სტეპებში მოგველის.

სისხამზე კოკისპირულმა დაუშვა. აქ კი ნაგდები სწორედ რომ მისწრება იყო. ნაგადმოხურულმა მხედრებმა მცხეთა დავტოვეთ, ფილკნის გზით მუხრანს ვესტუმრეთ, სადაც ახლადგახსნილ ხსოვნის ტაძართან აქაური მშრომელებს შევხვდით.

28 ივნისს საღამოთი მხედრიონმა ყოფილი მუხრან-ბატონების გალში დაიბანაკა, დილის სისხამზე კი გეზი კორინთისაკენ აიღო.

რაიონის მშრომელებისაგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ.

მასპინძლობს მცხეთა

მცხეთა. საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქს უამრავი სტუმარი სწვევია, სვეტიცხოვლის ფართო ეზო-კარი ტურისტებითა და ექსკურსანტებით სავსე, მასპინძლები უცხოელებსა და მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულთ საქართველოს ისტორიას, ჩვენი ხალხის ეროვნულ კულტურასა და თანამედროვეობას აცნობენ.

ქალაქ-მუზეუმ მცხეთას, მის ისტორიულ ძეგლებსა და არქიტექტურას განსაკუთრებული ყურადღება ბოლო წლებში მიექცა. თუმცა იგი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ იყო გამოცხადებული არქეოლოგიურ ნაკრძალად. 1937 წლიდან არქეოლოგიურ-გეგმაზომიერ კვლევას სათავეში ჩაუდგნენ ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მცხეთის მომავალს. 1974 წელს, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სპეციალური გადაწყვეტილება მცხეთის რაიონის ეკონომიკურ-კულტურული განვითარების შესახებ, ქალაქის ცხოვრებაში ახალი ისტორიული ეტაპი დადგა, დაიწყო ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. შეიქმნა არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიცია. რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრია აფაქიძე.

1977 წელს მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის გენერალური დირექცია. (დირექტორი ვ. მამუკელაშვილი) მუზეუმის პროფილის შეცვლამ განაპირობა მუშაობის შინაარსობრივი შეცვლაც, მისი ძირითადი საქმიანობა ამჟამად სამეცნიერო და კულტსაგანმანათლებლო მუშაობაა. ახლა მუზეუმი ამზადებს ახალ სტაციონარულ გამოფენას, სადაც წარმოაჩენს მცხეთის ისტორიას დასაბამიდან დღემდე.

მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ მრავალი საინტერესო ძეგლი გამოავლინა. სამეცნიერო შრომები, რომლებიც ექსპედიციის წევრებსა და მუზეუმის თანამშრომლებს ეკუთვნით, თავმოყრილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ პუბლიკაციურ წიგნში „მცხეთა". დღემდე გამოსულია წიგნის ოთხი ნომერი.

მცხეთის თანამედროვე ცხოვრება მხოლოდ ისტორიის შესწავლით, ისტორიულ ძეგლთა რესტავრირებით არ შემოიფარგლება. რაიონი ბოლო წლებში რესპუბლიკაში ერთ-ერთი მონინავე გახდა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მცხეთის რაიონს ზედიზედ სამჯერ გადაეცა რესპუბლიკის გარდამავალი დროშა, რომელიც მიიღო სოფლის მეურნეობის დარგში საუცხოო წარმატებებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურული ცენტრების მშენებლობას.

გასულ ხუთწლედში აიგო ათი ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები, აშენდა და მწყობრში ჩადგა საზაფხულო კინოთეატრი, ქორწინების სახლი, კომკავშირულ- ახალგაზრდული კლუბი, რაიონის პროკურატურისა და არქივის შენობები, სანეკიდადგური. მშრომელთათვის კარგი საწუქარი იყო კულტურული დასვენების ტყე-პარკის მოწყობა. წელსვე გაიხსნება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

ც. ალბუთაშვილი.

ნილკანი

ნილკანი, მცხეთის რაიონის ეს სოფელი, რომელიც უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება, ერთი მეტად საინტერესო ფაქტით არის დაკავშირებული საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან. როგორც ვიცით, ქართველების ქრისტიანებად მოქცევა ერთი ხელის დაკვრით არ მოხდარა. წარმართი მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა თავის ხატლმერთებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით არიან „მოქცევაი ქართლისაიში" პირველად ნახსენები წილკნელები, რომლებსაც ქართლელებთან და ფხოველებთან ერთად, მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ ახალი სარწმუნოებისათვის. სწორედ ამის გამო „ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა ზანელი და შეუსრნა კერპნი მათნი" — გვაუწყებს „ქართლის ცხოვრება". და მაინც, მიუხედავად ამისა, აქ ეპისკოპოსის დასმა მე-6 საუკუნის მეორე ნახევრამდე ვერ მოხერხდა. აღნიშნულ პერიოდში წილკანს დაჯდა ერთ-ერთი ასურელი მამა, რომლის დროს დაიწყო ტაძრის აგება.

ეს ტაძარი დღესაც დგას სოფლის ცენტრში და მისით მთელი საქართველო ამაყობს. მაგრამ ერთი გულისტკივილი მაინც უნდა გამოვთქვათ. ტაძარი და მისი გალავნის ჭიშკარი ისე არის დაგმანული, რომ ჩამოსულ სტუმარს ერთგან გარღვეული ქვითკირის კედლიდან უხდება ეზოში გადაბობღება. როგორც ტაძრის დარაჯმა შალვა ბერიკაშვილმა თქვა, ტაძარს თურმე იმიტომ ადევს ბოქლომი, რომ ავაზაკებისაგან დაიცვან. და დგას ეს შესანიშნავი ძეგლი განდეგილად, იგი ბეღურებისა და ღამურების სადარი გამხდარა. არადა, ქალაქ-მუზეუმ მცხეთიდან სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე მდგარი ეს ტაძარი, რესპუბლიკის სტუმრებისათვის ჩინებულ სანახაობად შეიძლება იქცეს.

რით ამაყობს კიდევ წილკანი? რით და ორი წლის წინათ სოფლის შესასვლელში აღმოჩენილი ადრექრისტიანული აკლდამებით, სოფლის ახალ უბნებში წამომართული თანამედროვე მკვიდრად ნაგები სახლებით, რომლებშიც გამრჯე და სტუმართმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. უკანასკნელ ხანს სოფლის მოსახლეობამ შვიდი ათას კაცს გადააჭარბა და მის სასოფლო საბჭოში მეზობელი პატარა სოფელი ძალისიც მოექცა. ერთ-ერთი ფოტო, რომელსაც დღევანდელ რეპორტაჟებთან ერთად გთავაზობთ, სწორედ ძალისში დიდი სამამულო ომის მონაწილის ალექსანდრე რუბაშვილის ეზო-კარის წინ არის გადაღებული. ომგადახდილი კაცის სახლი ბედნიერებითა და სიკეთით არის სავსე. თავად ალექსანდრე, მიუხედავად იმისა, რომ ომის ინვალიდია, დღესაც ბეჯითად შრომობს ძალისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში დურგლად, სამი ვაჟკაცი და ოთხი შვილიშვილი ჰყავს. იმედიანად გასცქერის მომავალს რუბაშვილების ოჯახი. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა გულით გამოიტანდა მისი ჯალობა ასტახანს მიმავალი მხედრებისათვის ხვავიან ხონჩას!

ექსპედიციის წევრები სოფელ ძალისში (მცხეთის რაიონი).
ჯ. ჯიშკარიანის ფოტო.

სიკეთით სავსე ხონჩა

წუწუნი ზარმაცების საქმეა

— **როზა** მქვია, როზა ტატიშვილი. ტატიშვილი ქმრის გვარია, ქალიშვილობის გვარი კი ღუნაშვილია. კასპის რაიონის სოფელ თეზში დავიბადე, გლეხის ოჯახში. ჩემი მშობლები კოლმეურნეობაში მისი დაარსებიდანვე შესულან და რაც გვებადა, ისიც იქ შეუტანიათ. მე და ჩემი სამი ძმა ხშირად მარტო ვრჩებოდით ხოლმე სახლში. ოჯახში საქმეს რა გამოლევს და ჩვენც, ბავშვებიც მთელ დღეს ვშრომობდით ეზო-ყურეში, საღამოთი კი გზას გავყურებდით მშობლების მოლოდინში.

თხუთმეტი წლისა არც ვიყავი, ომი რომ დაიწყო. გაჭირვებაზე თუ ვიტყვით, სწორედ ამ წლებში გაგვიჭირდა. ათი კლასი დავამთავრე თუ არა, კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა ჯერ ბუღალტრად, ანგარიშგამწევად. ბუღალტერიის ეს ტერმინი ალბათ ბევრ ახალგაზრდას ეცოდინებოდეს. ეს ნიშნავს ბუღალტერ-ანგარიშგამწევ-ბუღალტერ-ანგარიშგამწევ-ბუღალტერ-ანგარიშგამწევ-

ნორჩი მხატვრის ფუნჯი



თბილისში, კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის სახვითი ხელოვნების ცენტრში — „ფიორსმანში" გაიხსნა ნორჩი მხატვრის დათო კრაწაშვილის ნამუშევართა გამოფენა. ამ ახალგაზრდა შემოქმედის სახელი უკვე ცნობილია ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. ულრნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ნახატებითა და ლექსებით მან საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ დათოს ნამუშევართა პირველმა გამოფენამ მოლოდინს გადააჭარბა. ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგა ღრმად მოაზროვნე მრავალმხრივი ნიჭის ახალგაზრდა.

ექსპოზიციაში ძირითადად წარმოდგენილია ბოლო წლების ნამუშევრები. „ბოლო წლები", რა თქმა უნდა, პირობითი ცნებაა — დათო ხომ სრულიად ახალგაზრდა, 17 წლისა გარდაიცვალა. გამოფენა ამ ჭაბუკი მხატვრის ხანმოკლე, მაგრამ უდავოდ საინტერესო ხელოვნებას გვაცნობს და ისიც ნაწილობრივ. ექსპონირებულია სულ 220 ნაწარმოები, დათოს შემოქმედებითი მემკვიდრეობა კი ათასსზე მეტ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარს მოიცავს.

აქ ყველაფერია — პირველი გაუბედავი ნაბიჯები და თამამი განაცხადი, ძიება და გამარჯვების სიხარული, ფორმასთან მოწაფური ჭიდილი და ოსტატის მტკიცე ხელი, შემოქმედებითი წვა და ფანტაზიის აღმაფრენა, ხელოვნის უტყუარი ინტუიცია და ფიქრიანი განსჯა, მაგრამ ყველაზე არსებითი და ხაზგასმით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი თვისება: მხატვრული იდეისა და გამომსახველობით საშუალებათა ჩამოყალიბება-განვითარების ჰარმონიულობა. დათოს არც ერთი ნამუშევარი არ არის დაშორებული ერთმანეთს შინაარსისა და ფორმის მხრივ, მათ შორის მტკიცე ურთიერთკავშირია. უფრო მეტიც, ჭაბუკი თამამად ეჭიდება ფილოსოფიურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც კი და თავისი ასაკისათვის იშვიათი მხატვრული განზოგადების უნარით აყალიბებს საკუთარ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კრედოს. სწორედ ეს ინვევს მნახველთა საყოველთაო აღტაცებასა და გაოცებას.

აი, რამდენიმე ამონაწერი შთაბეჭდილებათა წიგნიდან: „დათოს ყველა ნამუშევარში იგრძნობა ავტორის განუმეორებელი პიროვნება, ჭეშმარიტ მხატვრულობასთან შერწყმული აზრის სიღრმე, რითაც ბუნება მხოლოდ რჩეულთ აჯილდოებს; გვაიძულებს აღვფრთოვანდეთ და მწვავედ განვიცადოთ ამ ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი შემოქმედის ტრაგიკული სიკვდილი", — ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა კლუბი.

„სახეებით აზროვნება, ფერის გრძნობა — რამდენი მოუმადლებია შემოქმედს ამ საოცრად მგრძნობიარე ბიჭისათვის:... იცცხოვლე, იზარდე, პატარა იდეავ, ასე სრულად წარმოჩენილო!" — მხატვარი თ. გოცაძე.

„ჩემო დათუნა! გაუმარჯოს შენს უკვდავებას ქართულ ხელოვნებაში!" — მწერალი გ. ფანჯიკიძე.

„დიდია სევდა, მაგრამ ტალანტი არ კვდება! დათო განაგრძობს სიცოცხლეს, იგი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება... სამწუხაროდ, სევდაც კიდევ უფრო გაიზრდება!" — ელგუჯა ამაშუკელი.

საერთო აზრი ასეთია: ჩვენმა საზოგადოებრიობამ დაკარგა, მაგრამ ამასთანავე შეიძინა მოაზროვნე მხატვარი და ღრმად კეთილშობილური იდეების მქონე უზადო ნიჭით მადლცხებული ხელოვანი.

ე. შავგულიძე,
ხელოვნებათმცოდნე.

● ●

სურათებზე: ზემოთ — დათო კრაწაშვილი; ქვემოთ მისი ნამუშევრები: „გალაკტიონი", „ქაჯბეთის ზარები" და „მოხუცი ქალი ჯოხით".



ყაბაახი

ფეხბურთის ამბები

გუშინ გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ" მიიღო სმოლენსკის „ისკრა". გამიმარჯვეს ქუთაისელებმა ანგარიშით 1:0, დაგროვეს 24 ქულა და კვლავ მეორე ადგილზე არიან.

მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის ოცდამეერთე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: ლენქორანის „ბაზარი"-ბაოვიანის „კოტაიკი" — 3:2, აშხაბადის „კოლხოზჩი"-სტეფანაკერტის „ყარაბახი" — 4:0, სოხუმის „დინამო"-ფოთის „კოლხეთი" — 4:1, ბათუმის „დინამო"-სამტრედიის „ლოკომოტივი" — 4:0, თბილისის „ლოკომოტივი"-გორის „დილა" — 2:0, ლენინაკანის „შირაკი"-რუსთავის „მეტალურგი" — 5:0, მინგეჩაურის „ავტომობილისტი"-ოქტემბერიანის „სპარტაკი" — 0:1. ოცდაერთი ტურის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ „კოტაიკიც" და სამტრედიის „ლოკომოტივიც" დამარცხდნენ, მაინც ისინი ლიდერობენ. „კოტაიკს" 32 ქულა აქვს, ხოლო სამტრედიის „ლოკომოტივს" — 30.

ჰალეს საერთაშორისო

ჰალეში (გდრ) დასასრულს მიუახლოვდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი ნანა ალექსანდრია მონაწილეობს. დიდოსტატი ქალის შედეგები ასეთია: მან სძლია საერთაშორისო ოსტატ ბიონშს (გდრ), ყაიმით დაამთავრა შეხვედრები დიდოსტატებთან ნაიაკთან (ეს პარტია სამჯერ იყო გადადებული) და მალიხთან, საერთაშორისო ოსტატებთან ესპიგთან (ყველა — გდრ) და ჰაზარისთან (უნგრეთი), წაგო დიდოსტატ ულმანთან (გდრ) და საერთაშორისო ოსტატ ლეჰტინსკისთან (ჩეხოსლოვაკია). 8 ტურის შემდეგ ბრწყინვალე შედეგით — 7 ქულით წინ იყო ულმანი. დიდოსტატმა ფოგთმა (გდრ) მოაგროვა 5,5 ქულა, ესპიგმა — 4,5, საერთაშორისო ოსტატებმა ჩეხოვმა (საბჭოთა კავშირი), ადამსკიმ (პოლონეთი) და ლეჰტინსკიმ — 4-4 ქულა.

ფიშერი გამოჩნდა?

ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" იმოწმებს შვეიცარიელ გაზეთებს და წერს, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა რობერტ ფიშერმა (აშშ) წერილით მიმართა ფიდეს პრეზიდენტს ფ. ოლაფსონს (ისლანდია) და აუწყა, რომ უბრუნდება ჭადრაკს. აშშ-ს დიდოსტატის დაბრუნება შემდეგი ამბით არის განპირობებული: ფიშერი მოითხოვს მიიღონ წინადადება ეგრეთ წოდებული „გადადებული პარტიის" შესახებ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის აზრით, ეს ცნება ამერიდან საერთოდ უნდა გაუქმდეს. თითოეულ პარტნიორს პარტიის სათამამოდ მიეცემა სამი საათი (ამრიგად, შეხვედრა 6 საათს გაგრძელდება), რომელშიც იგი ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტიოს. თუ შეხვედრა ვერც ერთმა ვერ მოიგო, მაშინ დამარცხებულად ის გამოცხადდება, რომლის საჭადრაკო საათზეც ალმი ჩამოვარდება. ამას ფიშერი იმიტომ მოითხოვს, რომ საჭადრაკო პარტიანი არავინ არ ჩაერიოს, ე. ი. თუ პარტია ალარ გადაიდება, სეკუნდანტები ვერავის დაეხმარებიან.

როდესაც ოლაფსონისადმი ფიშერის წერილის ამბავი გახმაურდა, შვეიცარიელმა ჟურნალისტებმა სთხოვეს ფიდეს პრეზიდენტს განემარტა ეს ფაქტი, მაგრამ ოლაფსონმა უარი თქვა.

შემდეგ ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" წერს, რომ ფიშერის წინადადება ახალი ამბავი არ არის. თავის დროზე სეკუნდანტების წინააღმდეგ ფიდეს კონგრესებზე არაერთხელ აღუძრავს საკითხი პროფესორ მილან ვიდმარს (იუგოსლავიის უძლიერეს დიდოსტატს), მაგრამ მას მხარი არ დაუჭერეს. სხვადასხვა მოჭადრაკეებსა თუ ორგანიზაციებს ფიდეს წინაშე არაერთგზის აღუძრავთ საკითხი დროის სხვადასხვა კონტროლის შესახებ. არც ამ წინადადებებს დაუჭერეს მხარი.

რაც შეეხება ფიშერის დაბრუნებას საჭადრაკო სცენაზე, ამას „სპორტსკე ნოვოსტი" კვლავინდებურად სკეპტიკურად უყურებს. საქმე ის არის, რომ 1972 წლის შემოდგომის შემდეგ, როცა ფიშერმა თამაში შეწყვიტა, ბევრჯერ გაკეთებულა სხვადასხვა განცხადება ამერიკელი დიდოსტატის დაბრუნების შესახებ და ყველა ტყუილი აღმოჩნდა. ფიშერმა იმოგზაურა ფილიპინებში, იაპონიაში, ესპანეთში, იუგოსლავიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. რამდენჯერმე პირადად ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონ კარპოვს, თამაშით კი არავისთან არ თამაშობს. ამიტომ, წერს „სპორტსკე ნოვოსტი", სანამ იგი საჭადრაკო დაფას არ მიუჯდება, ცნობას ფიშერის დაბრუნების შესახებ არავინ დაუჯერებს.

ამინდი

რას გვპირდება ივლისი?

საქართველოს ტერიტორიაზე ივლისში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ივნისთან შედარებით 2-3 გრადუსით მაღალია. დაბლობ რაიონებში იგი 20-დან 25-მდე, მთის რაიონებში 17-დან 22-გრადუსამდე მერყეობს, მაგრამ ცალკეულ წლებში საშუალო ტემპერატურა ნორმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდ ება. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყველაზე ცივი ივლისი იყო 1969 და 1976 წლებში, ხოლო ყველაზე ცხელი — 1962, 1966 და 1975 წლებში. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ზოგჯერ დაბლობ რაიონებში 34-41 გრადუსს აღწევს, აბსოლუტური მინიმუმი კი იკლებს 13-14 გრადუსამდე.

მრავალწლიური მონაცემებით, ივლისში საქართველოში ყველაზე ნაკლები ნალექი მოდის ქართლის ვაკეში, სადაც ნალექების თვიური ჯამი მერყეობს 30-50 მმ-ის ფარგლებში, დანარჩენ რაიონებში 7-დან 18 მმ-მდე.

ივლისი საზაფხულო არდადეგებისა და შვებულებების დროა. ამ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში უამრავი დამსვენებელი ჩამოდის და, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, როგორი ამინდი იქნება წელს.

მიმდინარე წლის ივლისში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მოსალოდნელია მრავალწლიური ნორმის ფარგლებში. დაბლობ რაიონებში ღამით იქნება 13-18, დღისით 23-28 გრადუსი, მაგრამ თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურა მოიმატებს ღამით 19-23, დღისით 31-36 გრადუსამდე; მთის რაიონებში თვის განმავლობაში ტემპერატურა ღამით უმეტესად იქნება 7-12, დღისით 18-23 გრადუსი, ზოგჯერ კი რამდენიმე გრადუსით აიწევს.

თვის განმავლობაში მოსალოდნელია ხშირი, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ზოგან შესაძლებელია სეტყვა.

ნალექების თვიური ჯამი ქართლის ვაკის უმეტეს რაიონებში შეადგენს 40-80 მმ-ს, დანარჩენ რაიონებში 90-დან 150 მმ-ს, სანაპირო რაიონებში ზოგან 200 მმ-ს, რაც ნორმასთან ახლოსაა, ზოგან ნორმაზე მეტია.

ვ. კოკლატაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

1 ივლისი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში". საბელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მათ ოკეანეები ელიან", 11.35 — ჯ. გამსახურდია. „ვაზის ყვავილობა". — მრავალსერიანი საბელევიზიო ვიდეოფილმი. მეორე სერია. (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — ტელეკუთხი ძათემაგიკაში, 16.50 — „ბასური ტელეფაყრებელთა შეკითხვებზე", 17.25 — გადაცემა — „მშვიდობით, სკოლავ!", 18.40 — „ჩვენი ლაჩარი" — ნაწი ჭედია, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ისევ სტუდენტობა", 20.00 — „მოამბე", 20.30 — ჯ. გამსახურდია. „ვაზის ყვავილობა" — მრავალსერიანი საბელევიზიო ვიდეოფილმი. მესამე სერია. პრემიერა. (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოების), 21.40 — საბელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა თეთრი კოშკებისაკენ", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ფოლკლორის სალამო (მახარაძის რაიონი). დასასრულ — „მოამბე".

მეორე პროგრამაზე: 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „გუგულიანი საათი", 18.20 — განცხადებები, 18.25 — მხატვრული ფილმი „ეს ძველთაძველი ზღაპარი".

ნახეთ, ხომ არ მოიგეთ?

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1981 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1981 წლის 25 ივნისს ქ. ქობულეთში. ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთის 79 ნივთმოგება და 159.921 ფულადი მოგება.

მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფასი ან ფულადი ღირებულება
16002	279*)	25 მანეთი	—
16009	280*)	20 მანეთი	—
16018	114*)	25 მანეთი	—
16024	098*)	კონდიციონერი	480—00
16028	181*)	20 მანეთი	—
16036	172*)	20 მანეთი	—
16038	006*)	25 მანეთი	—
16048	291*)	30 მანეთი	—
16052	426*)	30 მანეთი	—
16069	339*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16104	061*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
16108	258*)	30 მანეთი	—
16138	075*)	30 მანეთი	—
16141	041*)	30 მანეთი	—
16144	425*)	20 მანეთი	—
16158	406*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
16161	471*)	20 მანეთი	—
16162	331*)	20 მანეთი	—
16164	121*)	20 მანეთი	—
16178	432*)	30 მანეთი	—
16178	296*)	50 მანეთი	—
16180	446*)	30 მანეთი	—
16188	437*)	30 მანეთი	—
16184	379*)	გაზქურა „ბრესტი"	130—00
16186	130*)	100 მანეთი	—
16190	093*)	20 მანეთი	—
16198	313*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16205	011*)	20 მანეთი	—
16206	499*)	30 მანეთი	—
16230	342*)	30 მანეთი	—
16241	317*)	ავტომანქანა „უიგული-21011"	7300—00
16249	468*)	45 მანეთი	—
16263	494*)	25 მანეთი	—
16277	389*)	20 მანეთი	—
16284	021*)	45 მანეთი	—
16287	359*)	45 მანეთი	—
16288	027*)	20 მანეთი	—
16290	010*)	30 მანეთი	—
16298	402*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
16301	282*)	100 მანეთი	—
16304	426*)	30 მანეთი	—
16311	398*)	30 მანეთი	—
16376	195*)	20 მანეთი	—
16384	459*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
16390	409*)	100 მანეთი	—
16394	482*)	50 მანეთი	—
16418	273*)	20 მანეთი	—
16428	185*)	მტვერსასრუტი	37—00
16440	192*)	20 მანეთი	—
16450	248*)	30 მანეთი	—
16496	110*)	20 მანეთი	—
16515	246*)	ავტომანქანა „უიგული-2106"	9100—00
16520	068*)	50 მანეთი	—
16533	032*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
16545	092*)	20 მანეთი	—
16570	419*)	ავტომანქანა „უიგული-21011"	7300—00
16575	1—500	15 მანეთი	—
16588	418*)	20 მანეთი	—
16595	241*)	30 მანეთი	—
16597	177*)	30 მანეთი	—
16604	376*)	20 მანეთი	—
16619	269*)	30 მანეთი	—
16632	180*)	მაცივარი „ზილი"	370—00
16648	099*)	20 მანეთი	—
16676	185*)	20 მანეთი	—
16687	134*)	20 მანეთი	—
16700	070*)	ელექტროსაჩოვარი	21—00
16706	314*)	25 მანეთი	—
16714	244*)	20 მანეთი	—
16716	132*)	მტვერსასრუტი	37—00
16719	378*)	ელექტროსამოვარი	21—00
16729	346*)	30 მანეთი	—
16748	297*)	100 მანეთი	—
16751	260*)	20 მანეთი	—
16779	287*)	ხალიჩა	320—00
16791	053*)	ელექტროსამოვარი	21—00
16800	130*)	30 მანეთი	—
16807	086*)	250 მანეთი	—
16816	450*)	25 მანეთი	—
16823	093*)	30 მანეთი	—
16833	188*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
16838	320*)	30 მანეთი	—
16843	469*)	500 მანეთი	—
16850	456*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
16855	200*)	45 მანეთი	—
16867	474*)	50 მანეთი	—
16870	325*)	20 მანეთი	—
16884	470*)	30 მანეთი	—
16885	149*)	30 მანეთი	—
16908	402*)	25 მანეთი	—
16909	275*)	30 მანეთი	—
16916	110*)	45 მანეთი	—
16931	1-500	15 მანეთი	—
16932	205*)	50 მანეთი	—
16937	325*)	ელექტროსამოვარი	21—00
16965	045*)	20 მანეთი	—
16967	073*)	ელექტროსამოვარი	21—00
16992	065*)	ელექტროსამოვარი	21—00
16995	270*)	30 მანეთი	—
16997	122*)	250 მანეთი	—
17013	275*)	30 მანეთი	—
17019	114*)	მტვერსასრუტი	37—00
17022	338*)	30 მანეთი	—
17049	351*)	30 მანეთი	—
17051	151*)	40 მანეთი	—
17054	079*)	30 მანეთი	—
17066	455*)	20 მანეთი	—
17068	080*)	20 მანეთი	—
17088	190*)	30 მანეთი	—
17092	028*)	30 მანეთი	—
17094	278*)	30 მანეთი	—
17107	298*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
17133	391*)	20 მანეთი	—
17135	277*)	20 მანეთი	—
17143	320*)	30 მანეთი	—
17191	074*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
17193	470*)	30 მანეთი	—
17194	300*)	20 მანეთი	—
17204	319*)	45 მანეთი	—
17225	273*)	50 მანეთი	—
17233	357*)	45 მანეთი	—
17246	162*)	20 მანეთი	—
17253	174*)	100 მანეთი	—
17275	377*)	30 მანეთი	—
17295	049*)	ელექტროსამოვარი	21—00
17297	303*)	50 მანეთი	—
17318	491*)	გაზქურა „ბრესტი"	130—00
17333	440*)	20 მანეთი	—
17360	264*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17361	177*)	20 მანეთი	—
17367	309*)	მტვერსასრუტი	37—00
17370	069*)	ავტომანქანა „უიგული-2106"	9100—00
17377	354*)	100 მანეთი	—
17393	389*)	20 მანეთი	—
17405	420*)	20 მანეთი	—
17406	281*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17410	309*)	30 მანეთი	—
17414	316*)	30 მანეთი	—
17429	460*)	30 მანეთი	—
17431	031*)	ხალიჩა	320—00
17432	282*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
17455	419*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17469	230*)	30 მანეთი	—
17476	349*)	25 მანეთი	—
17486	415*)	30 მანეთი	—
17487	330*)	30 მანეთი	—
17492	253*)	ხალიჩა	320—00
17498	261*)	ელექტროსამოვარი	21—00
17500	476*)	45 მანეთი	—
17523	431*)	ავტომანქანა „უიგული — 2101"	6600—00
17524	102*)	30 მანეთი	—
17540	072*)	20 მანეთი	—
17547	453*)	20 მანეთი	—
17566	470*)	50 მანეთი	—
17568	240*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
17571	377*)	20 მანეთი	—
17579	325*)	20 მანეთი	—
17586	448*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17607	231*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17608	078*)	ელექტროსამოვარი	21—00
17610	446*)	100 მანეთი	—
17618	409*)	20 მანეთი	—
17619	217*)	30 მანეთი	—
17632	460*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
17647	286*)	50 მანეთი	—
17658	059*)	ელექტროსამოვარი	21—00
17666	027*)	20 მანეთი	—
17679	452*)	მტვერსასრუტი	37—00
17707	109*)	50 მანეთი	—
17708	040*)	100 მანეთი	—
17710	295*)	30 მანეთი	—
17713	339*)	20 მანეთი	—
17728	334*)	30 მანეთი	—
17735	373*)	20 მანეთი	—
17746	196*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
17753	226*)	მაცივარი „ზილი"	370—00
17769	207*)	20 მანეთი	—
17784	312*)	45 მანეთი	—
17792	286*)	25 მანეთი	—
17802	095*)	20 მანეთი	—
17815	291*)	20 მანეთი	—
17832	395*)	100 მანეთი	—
17880	049*)	25 მანეთი	—
17902	122*)	45 მანეთი	—
17908	444*)	45 მანეთი	—
17921	421*)	მტვერსასრუტი	37—00
17929	461*)	45 მანეთი	—
17932	395*)	30 მანეთი	—
17948	434*)	45 მანეთი	—
17952	388*)	ხალიჩა	320—00
17955	323*)	30 მანეთი	—
17966	191*)	მტვერსასრუტი	37—00
17967	223*)	30 მანეთი	—
17976	009*)	30 მანეთი	—
17994	383*)	25 მანეთი	—
17995	336*)	ხალიჩა	320—00
17996	337*)	ელექტროსამოვარი	21—00
18020	351*)	30 მანეთი	—
18023	123*)	20 მანეთი	—
18028	431*)	ხალიჩა	320—00
18029	054*)	30 მანეთი	—
18031	431*)	ხალიჩა	320—00
18048	263*)	30 მანეთი	—
18059	098*)	ავტომანქანა „უიგული-2106"	9100—00
18063	407*)	ელექტროსამოვარი	21—00
18064	103*)	30 მანეთი	—
18070	440*)	20 მანეთი	—
18087	289*)	30 მანეთი	—
18089	076*)	30 მანეთი	—
18090	455*)	ელექტროსამოვარი	21—00
18094	452*)	25 მანეთი	—
18097	348*)	45 მანეთი	—
18099	285*)	ელექტროსამოვარი	21—00
18102	165*)	50 მანეთი	—
18108	281*)	20 მანეთი	—
18120	185*)	25 მანეთი	—
18121	247*)	30 მანეთი	—
18122	230*)	20 მანეთი	—
18150	463*)	20 მანეთი	—
18190	345*)	45 მანეთი	—
18212	123*)	50 მანეთი	—
18218	106*)	20 მანეთი	—
18227	469*)	100 მანეთი	—
18231	118*)	20 მანეთი	—
18247	032*)	30 მანეთი	—
18278	140*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—03
18281	141*)	20 მანეთი	—
18284	302*)	25 მანეთი	—
18311	167*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
18312	277*)	ავტომანქანა „უიგული-2101"	6600—00
18315	346*)	მაცივარი „ზილი"	370—00
18316	268*)	20 მანეთი	—
18345	147*)	20 მანეთი	—
18349	398*)	30 მანეთი	—
18360	357*)	30 მანეთი	—
18370	216*)	30 მანეთი	—
18371	058*)	30 მანეთი	—
18401	083*)	30 მანეთი	—
18405	079*)	ავტომანქანა „უიგული-2106"	9100—00
18436	393*)	45 მანეთი	—
18440	460*)	მაცივარი „ზილი"	370—00
18451	255*)	20 მანეთი	—
18461	028*)	25 მანეთი	—
18465	368*)	45 მანეთი	—
18478	020*)	50 მანეთი	—
18521	188*)	20 მანეთი	—
18531	006*)	100 მანეთი	—
18535	306*)	20 მანეთი	—
18539	365*)	30 მანეთი	—
18554	478*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
18559	455*)	30 მანეთი	—
18566	369*)	20 მანეთი	—
18583	147*)	100 მანეთი	—
18591	329*)	20 მანეთი	—
18598	088*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
18604	251*)	25 მანეთი	—
18619	498*)	30 მანეთი	—
18646	283*)	30 მანეთი	—
18660	234*)	30 მანეთი	—
18668	227*)	20 მანეთი	—
18683	480*)	20 მანეთი	—
18698	240*)	30 მანეთი	—
18705	197*)	25 მანეთი	—
18711	029*)	20 მანეთი	—
18721	307*)	25 მანეთი	—
18726	106*)	ელექტრომიქსერი	24—00
18731	479*)	20 მანეთი	—
18738	296*)	ელექტროსამოვარი	21—00
18739	382*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
18745	417*)	25 მანეთი	—
18747	348*)	მტვერსასრუტი	37—00
18762	247*)	25 მანეთი	—
18769	053*)	20 მანეთი	—
18775	101*)	20 მანეთი	—
18782	1—500	10 მანეთი	—
18783	349*)	30 მანეთი	—
18788	251*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
18790	140*)	50 მანეთი	—
18808	396*)	30 მანეთი	—
18856	157*)	20 მანეთი	—
18862	302*)	20 მანეთი	—
18863	024*)	20 მანეთი	—
18866	374*)	30 მანეთი	—
18867	017*)	45 მანეთი	—
18869	216*)	20 მანეთი	—
18882	349*)	მაცივარი „ზილი"	370—00
18885	446*)	25 მანეთი	—
18905	344*)	30 მანეთი	—
18924	279*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
18939	059*)	20 მანეთი	—
18947	048*)	50 მანეთი	—
18960	122*)	20 მანეთი	—
18981	474*)	45 მანეთი	—
18988	369*)	ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24	15000—00
19004	494*)	45 მანეთი	—
19025	1—500	10 მანეთი	—
19028	106*)	30 მანეთი	—
19033	374*)	30 მანეთი	—
19044	208*)	ელექტროსამოვარი	21—00
19052	373*)	20 მანეთი	—
19056	216*)	25 მანეთი	—
19065	385*)	30 მანეთი	—
19070	488*)	20 მანეთი	—
19075	218*)	50 მანეთი	—
19085	493*)	20 მანეთი	—
19095	280*)	100 მანეთი	—
19114	095*)	ხალიჩა	320—00
19128	349*)	30 მანეთი	—
19132	070*)	კონდიციონერი	430—00
19135	110*)	30 მანეთი	—
19145	220*)	20 მანეთი	—
19148	430*)	30 მანეთი	—
19150	281*)	30 მანეთი	—
19156	078*)	30 მანეთი	—
19157	306*)	50 მანეთი	—
19174	087*)	30 მანეთი	—
19175	372*)	25 მანეთი	—
19190	408*)	20 მანეთი	—
19192	010*)	30 მანეთი	—
19199	398*)	ელექტრომიქსერი	24—00

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სეტყვში — „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, ხოლო მიმღებთა სურვილით მოგებული ნივთის ნაცვლად 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველ სალაროში. 100 მანეთზე მეტ მოგებას გასცემენ ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში.

**მოგებული ნივთების მისაღებად ლატარი